Xon-forte

ქაფოვანი საწმენდი საშუალება კვების მრეწველობის ობიექტებისთვის

- აქტიურად აცილებს ცილოვან, ზეთოვან და ცხიმოვან ჭუჭყს, ისევე როგორც წვისა და ცხობის დროს წარმოქმნილ საკვების ნარჩენებს
- გააჩნია გერმანიის მიერ გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი კვების ინდუსტრიაში გამოყენებისთვის
- მინიჭებული აქვს ევროპული და ავსტრიული ეკო-ეტიკეტი

EU Ecolabel: DE/020/390

UW 1214

გამოყენების სფერო

გამოიყენება კვების მრეწველობის ბლოკებში წყალგამძლე და ტუტეგამძლე საგნებისა და ზედაპირებისთვის: ღუმელები, გრილები, ქურები, გამწოვები, კედლისა და იატაკის ფილები. გარდა ამისა, რეკომენდებულია საცურაო აუზების ტუტე წმენდისა და სამრეწველო სექტორში გამოყენებისთვის. არ გამოიყენება ტუტე მგრძნობიარე ზედაპირებზე, მაგალითად, როგორებიცაა ალუმინი, ლინოლეუმი და დისპერსული ლაქები.

გამოყენება

პირველი გამოყენების წინ რეკომენდებულია შემოწმდეს დასამუშავებელი მასალა პროდუქტის მგრძნობელობაზე, შეუმჩნეველ, მცირე ნაწილზე დატანებით.

ყოველდღიური დალაგება (ზედაპირების წმენდა):
პროდუქტი გამოიყენება განუზავებელი სახით. გააცხელეთ ღუმელი, გრილი და ა.შ. 30 °C-მდე, შემდეგ გამორთეთ დანადგარი. დაფარეთ გასაწმენდი ზედაპირი ქაფით და გააჩერეთ 5-10 წუთი, შემდეგ დაამუშავეთ პადით, კარგად ჩამორეცხეთ და გაწმინდეთ გამშრალებამდე. ავტომატური დოზირებისას მიჰყევით დანადგარის მწარმოებლის ინსტრუქციას, შეავსეთ სპეციალური კონტეინერი და შეაერთეთ მითითებული მილები, ამის შემდეგ ავტომატურად დაიწყება წმენდის პროცესი. მოხმარება: 5,0 მლ/მ^2.

არ არის განკუთვნილი დიდი ზედაპირების წმენდისთვის.

დაბინძურების ჩვეულებრივი ხარისხი

ყოველდღიური დალაგება (ხელით წმენდა):
150 მლ - 10 ლ ცივი წყალი. მოხმარება: 1,0 მლ/მ^2.

ყოველდღიური დალაგება (მანქანით):
150 მლ - 10 ლ ცივი წყალი. მოხმარება: 2,5 მლ/მ^2.

დაბინძურების მაღალი ხარისხი

ქაფოვანი წმენდა:
ჩაასხით განუზავებელი საშუალება კონტეინერში. დაბინძურების ხარისხიდან გამომდინარე, შეარჩიეთ ქაფის გენერატორის დოზატორის შესაბამისი ნიშნული 1:4-დან 1:10-მდე, დაფარეთ ზედაპირი ქაფით და დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ ჩამორეცხეთ წყლით. მოხმარება: 25,0 მლ/მ^2.

ღრმა წმენდა (სველი წმენდა მანქანით):
1 ლ - 8 ლ ცივ წყალთან.
გაანაწილეთ სამუშაო გამწმენდი ხსნარი იატაკზე. ზემოქმედებისთვის დაიცადეთ დაახლოებით 10-15 წთ, შემდეგ დაამუშავეთ იატაკი ჯაგრისთ, აიღეთ ზედმეტი სითხე წყლის მტვერსასრუტით, კარგად გარეცხეთ იატაკი სუფთა წყლით. მოხმარება: 30,0 მლ/მ^2.

ზედაპირი და სამზარეულო ინვენტარი, რომლებიც უშუალოდ კონტაქტშია საკვებ პროდუქტებთან, დამუშავების შემდეგ გულდასმით უნდა გაირეცხოს სასმელი წყლით. გამფრქვევი შეიძლება შეივსოს კანისტრიდან. საწმენდი საშუალების შეცვლისას აუცილებელია დოზატორის და შესაბამისი მილების გარეცხვა წყლით.

ნომენკლატურა	შეფუთვის ერთეული	ყუთების რაოდენობა პალეტზე
j551047	6 ბოთლი x 750 მლ ყუთში	64
j551005	2 კანისტრი x 5 ლ ყუთში	56
j551072	კასრი x 200 ლ	2
j551090	კონტეინერი x 1000 ლ	1

Xon-forte

ქაფოვანი საწმენდი საშუალება კვების მრეწველობის ობიექტებისთვის

ცხელი წყალი ტემპერატურით 40-60 °C აჩქარებს პროდუქტის ზემოქმედებას მყარი ცხიმოვანი ჭუჭყის მოცილებისას. ცხიმოვანი ან ცილოვანი ნადების არსებობის შემთხვევაში დაიტანეთ პროდუქტი (ცივი სახით) შესაბამისი სამუშაო კონცენტრაციით და წმენდის პროცესში დაამატეთ იატაკს ცხელი წყალი მანქანის ტუტე ავზის დახმარებით.

შენიშვნა

მწარმოებელი პასუხს არ აგებს პროდუქტის არასწორი ან არაკვალიფიციური გამოყენების შედეგად მიყენებულ ზარალზე. მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისათვის! სწორი დოზირება ზოგავს ხარჯებს და იცავს გარემოს. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები მზადდება მცენარეული ნედლეულისგან. შესაფუთი მასალა გადამუშავებადია.

შემადგენლობა (648/2004 / EC -ის შესაბამისად)

არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები < 5%, საპონი < 5%, ტუტეები, წყალში ხსნადი გამხსნელები, საკვები საღებავი.

pH კონცენტრატში: > 13,5

pH სამუშაო ხსნარში: დაახლოებით 13

მარკირება

მარკირება (კონცენტრატში): H314 თვალში ან კანზე მოხვედრისას იწვევს ქიმიურ დამწვრობას. P280 გამოყენება უნდა მოხდეს ხელთათმანებში/სპეც ტანსაცმელში/თვალის და სახის დამცავ მოწყობილობაში. P305+P351+P338 თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ჩამოიბანეთ თვალი წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. კონტაქტური ლინზების შემთხვევაში მოიხსენით ისინი. P308+P313 თვალის გაღიზიანების შემთხვევაში მიმაფრთეთ ექიმს. შეიცავს: Potassium Hydroxide (INCI)

გამოყენების მაგალითები

ბათუმის ბულვარი

პრობლემა: ცხიმის ლაქები გრანიტის ფილებზე.
პრობლემის გადაჭრა: ცხიმიანი ლაქების კვალის მოსაცილებლად რეკომენდებულია **Xon-Forte**-ს გამოყენება.
მეთოდი: განუზავებელი სახით ლოკალურად დაიტანება დასამუშავებელი ზედაპირის პრობლემურ ადგილზე. 10-15 წუთის შემდეგ ჩამორეცხება სუფთა წყლით.

დამუშავებამდე

დამუშავების შემდეგ